ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

სამშაბათი, 4 მაისი, 1943 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 11 (287). ფასი 50 კაპ.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
## უმაღლესი მთავარსარდლისა

1943 წ. 1 მაისი — № 195 — ქ. მოსკოვი

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, პარტიზანებო, მუშებო, გლეხებო — კაცებო და ქალებო, ინტელიგენტური შრომის ადამიანებო! გერმანელ მჩაგვრელთა უღელქვეშ დროებით მოქცეულო ძმებო და დებო!

საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი ბოლშევიკური პარტიის სახელით მოგესალმებით და მოგილოცავთ 1 მაისის დღეს!

სამამულო ომის სასტიკ დღეებში ხვდებიან ჩვენი ქვეყნის ხალხები 1 მაისის დღეს. მათ წითელ არმიას მიანდეს თავისი ბედი და არც შემცდარან თავიანთ იმედებში. საბჭოთა მეომრები მკერდით აღიმართნენ სამშობლოს დასაცავად და აი უკვე თითქმის ორი წელია იცავენ საბჭოთა კავშირის ხალხთა ღირსებასა და დამოუკიდებლობას.

1942-43 წლების ზამთრის კამპანიის პერიოდში წითელმა არმიამ სერიოზული დამარცხებანი მიაყენა ჰიტლერულ ჯარებს, მოსპო მტრის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის უდიდესი რაოდენობა, გარს შემოერტყა და ლიკვიდაცია უყო მტრის ორ არმიას სტალინგრადთან, ტყვედ წამოიყვანა მტრის 300 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი და გერმანელთა უღლისაგან გაათავისუფლა ასობით საბჭოთა ქალაქი და ათასობით სოფელი.

ზამთრის კამპანიამ გვიჩვენა, რომ წითელი არმიის შეტევითი ძალა გაიზარდა. ჩვენმა ჯარებმა არა თუ განდევნეს გერმანელები მათ მიერ 1942 წლის ზაფხულში დაპყრობილი ტერიტორიიდან, არამედ დაიკავეს მთელი რიგი ქალაქებიც და რაიონებიც, რომლებიც დაახლოებით წელიწად-ნახევარს იყო მტრის ხელში. გერმანელებს არ აღმოაჩნდათ ძალა თავიდან აეცილებინათ წითელი არმიის შეტევა.

ფრონტის ვიწრო უბანზე, ხარკოვის რაიონში კონტრშემოტევისთვისაც კი ჰიტლერული სარდლობა იძულებული აღმოჩნდა სამ ათეულზე მეტი ახალი დივიზია გადმოეყვანა დასავლეთ ევროპიდან. გერმანელები ვარაუდობდნენ გარს შემორტყმოდნენ საბჭოთა ჯარებს ხარკოვის რაიონში და მოეწყოთ ჩვენი ჯარებისათვის „გერმანული სტალინგრადი“. მაგრამ ჰიტლერული სარდლობის ცდა აელო რევანში სტალინგრადისათვის ჩაიშალა.

ამასთან ერთად ჩვენი მოკავშირეების ძლევამოსილმა ჯარებმა დაამარცხეს იტალია-გერმანიის ჯარები ლიბიისა და ტრიპოლიტანიის რაიონში, გასწმინდეს ეს რაიონები მტრებისაგან და ახლა განაგრძობენ მათ შემუსვრას ტუნისის რაიონში, ხოლო ინგლის-ამერიკის სახელოვანი ავიაცია გამანადგურებელ დარტყმებს აგემებს გერმანიის, იტალიის სამხედრო-სამრეწველო ცენტრებს, რაც ევროპაში იტალიელ-გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ მეორე ფრონტის შექმნის წინამორბედია.

ამრიგად, მტერზე დარტყმა აღმოსავლეთიდან, წითელი არმიის მხრით, ომის განმავლობაში პირველად შეერთდა დარტყმასთან დასავლეთიდან, ჩვენი მოკავშირეების ჯარების მხრით—ერთიან საერთო დარტყმად.

ყველა ამ გარემოებამ, ერთად აღებულმა ძირფესვიანად შეარყია ჰიტლერული სამხედრო მანქანა, შესცვალა მსოფლიო ომის მსვლელობა და შექმნა აუცილებელი წინაპირობები ჰიტლერულ გერმანიაზე გასამარჯვებლად. ამის შედეგად მტერი იძულებული აღმოჩნდა ეღიარებინა თავისი მდგომარეობის სერიოზული გაუარესება და დაიწყო გოდება სამხედრო კრიზისის შესახებ. მართალია, მტერი ცდილობს თავისი კრიტიკული მდგომარეობა დაჰფაროს ხმაურით „ტოტალური“ მობილიზაციის შესახებ, მაგრამ არავითარ ხმაურს არ შეუძლია იმ ფაქტის გაბათილება, რომ ფაშისტთა ბანაკი ნამდვილად განიცდის სერიოზულ კრიზისს.

კრიზისი ფაშისტთა ბანაკში გამოიხატება, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ მტერი იძულებული აღმოჩნდა აშკარად უარეყო თავის პირვანდელი მიზანდასახულობა ელვისებური ომისა. მტრების ბანაკში ახლა მოდაში აღარ არის ლაპარაკი ელვისებურ ომზე, — მყვირალა ლაყბობა ელვისებურ ომზე შეიცვალა სასოწარკვეთილი მოთქმით გაჭიანურებული ომის გარდუვალობის შესახებ. თუ წინათ გერმანელ ფაშისტთა სარდლობა ტრაბახობდა ელვისებური შეტევის ტაქტიკით, ახლა ეს ტაქტიკა უკუგდებულია, და გერმანელი ფაშისტები უკვე ტრაბახობენ არა იმით, რომ მათ ჩაატარეს ან განზრახული აქვთ ჩაატარონ ელვისებური შეტევა, არამედ იმით, რომ მათ მოახერხეს მარჯვედ დაეძვრინათ თავი ინგლისის ჯარების მხრივ გარემომცველი დარტყმებისაგან ჩრდილოეთ აფრიკაში ან საბჭოთა ჯარების მხრივ გარშემორტყმისაგან დემიანსკის რაიონში. ფაშისტური პრესა სავსეა ტრაბახა ცნობებით იმის შესახებ, რომ გერმანიის ჯარებმა მოახერხეს მოეკურცხლათ ფრონტიდან და თავი დაეღწიათ ახალი სტალინგრადისათვის აღმოსავლეთის ან ტუნისის ფრონტის ამა თუ იმ უბანზე. ეტყობა, ჰიტლერელ სტრატეგებს მეტი არაფერი აქვთ სატრაბახო.

მეორე, კრიზისი ფაშისტთა ბანაკში გამოიხატება იმით, რომ ფაშისტები უკვე სულ უფრო და უფრო ხშირად ლაპარაკობენ ზავის შესახებ. თუ უცხოეთის პრესის ცნობების მიხედვით ვიმსჯელებთ, შეგვიძლია იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ გერმანელები მსურველნი იქნებოდნენ მიეღწიათ ზავისათვის ინგლისთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან იმ პირობით, თუ ისინი ჩამოშორდებიან საბჭოთა კავშირს, ან, პირიქით, ისინი მსურველნი იქნებოდნენ მიეღწიათ ზავისათვის საბჭოთა კავშირთან იმ პირობით, თუ იგი ჩამოშორდება ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს. გერმანელ იმპერიალისტებს, რომლებიც თვითონ სულით ხორცამდე ვერაგნი არიან, თავხედობა შესწევთ თავიანთი არშინით ზომონ მოკავშირენი, და ფიქრობენ, რომ რომელიმე მოკავშირეთაგანი წამოეგება ამ ანკესზე. ცხადია, რომ კარგი მდგომარეობის გამო როდი ლაყბობენ გერმანელები ზავზე. ზავის შესახებ ლაყბობა ფაშისტთა ბანაკში მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ისინი მძიმე კრიზისს განიცდიან. მაგრამ რა ზავზე შეიძლება ლაპარაკი გერმანელ ფაშისტთა ბანაკის იმპერიალისტ ყაჩაღებთან, რომლებმაც სისხლით მორწყეს ევროპა და სახრჩობელებით მოჭფინეს იგი? განა ცხადი არ არის, რომ ჰიტლერული არმიების მხოლოდ სრულ განადგურებასა და ჰიტლერული გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციას შეუძლია მშვიდობიანობამდე მიიყვანოს ევროპა? იმიტომ ხომ არ ლაყბობენ გერმანელი ფაშისტები ზავის შესახებ, რომ ისინი მომავალი კატასტროფის მოახლოებას გრძნობენ?

გერმანია-იტალიის ფაშისტური ბანაკი მძიმე კრიზისს განიცდის და თავისი კატასტროფის წინაშე დგას.

ეს, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ჰიტლერული გერმანიის კატასტროფა უკვე დადგა. არა, არ ნიშნავს. ჰიტლერული გერმანია და მისი არმია შერყეულნი არიან და კრიზისს განიცდიან, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ არიან დამარცხებულნი. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრნა, რომ კატასტროფა თავისთავად, თვითდინების წესით მოვა. საჭიროა კიდევ ორი-სამი ისეთი მძლავრი დარტყმა დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან, როგორიც განიცადა ჰიტლერულმა არმიამ უკანასკნელი 5-6 თვის განმავლობაში, იმისათვის, რომ ჰიტლერული გერმანიის კატასტროფა ფაქტი გახდეს.

ამიტომ საბჭოთა კავშირის ხალხებს და მათ წითელ არმიას, ისევე როგორც ჩვენს მოკავშირეებსა და მათს არმიებს, კიდევ მოელით სასტიკი და მძიმე ბრძოლა ჰიტლერელ მტარვალებზე სრული გამარჯვებისათვის. ეს ბრძოლა მოსთხოვს მათ დიდ მსხვერპლს, უდიდეს გამძლეობას, რკინისებურ სიმტკიცეს. მათ მობილიზაცია უნდა უყონ მთელ თავიანთ ძალებსა და შესაძლებლობებს იმისათვის, რომ დაამარცხონ მტერი და ამრიგად გზა გაიკაფონ მშვიდობიანობისაკენ.

ამხანაგებო! საბჭოთა ხალხი უდიდეს ზრუნვას იჩენს თავისი წითელი არმიისათვის. ის მზად არის მთელი ძალები მოახმაროს საბჭოთა ქვეყნის სამხედრო ძლიერების შემდგომ გადიდებას. 4 თვეზე ნაკლები ხნის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ხალხებმა 7 მილიარდ მანეთზე მეტი შეიტანეს წითელი არმიის ფონდში. ეს ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ ომი გერმანელთა წინააღმდეგ ნამდვილად საერთო-სახალხო ომია საბჭოთა კავშირში მოსახლე ყველა ხალხისა. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია მტკიცედ და მამაცურად იტანენ ომით გამოწვეულ გაჭირვებას და დაუცხრომლად შრომობენ საწარმოებსა და დაწესებულებებში, ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მაგრამ ომი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ მოითხოვს, რათა წითელმა არმიამ მიიღოს კიდევ უფრო მეტი ქვემეხები, ტანკები, თვითმფრინავები, ტყვიამფრქვევები, ავტომატები, ნაღმსატყორცნები, საომარი მასალები, საჭურველი, სურსათი. მაშასადამე, აუცილებელია, რომ მუშები, კოლმეურნეები, მთელი საბჭოთა ინტელიგენცია გაორკეცებული ენერგიით მუშაობდნენ ფრონტისათვის.

საჭიროა, რომ ზურგში ყველა ჩვენი ადამიანი და ყველა დაწესებულება შეწყობილად და ზუსტად, კარგი საათის მექანიზმივით მუშაობდეს. გავიხსენოთ დიდი ლენინის ანდერძი: „**რაკი ომი გარდუვალი აღმოჩნდა — ყველაფერი ომისათვის, და სულ მცირედი თავაშვებულობა და ენერგიის ნაკლებობა ომიანობის დროის კანონის მიხედვით უნდა ისჯებოდეს**“.

თავისი ხალხის ნდობისა და ზრუნვის პასუხად წითელმა არმიამ კიდევ უფრო მაგრად უნდა ურტყას მტერს. ულმობლად ჟლიტოს გერმანელი დამპყრობნი, განუწყვეტლივ დევნოს ისინი საბჭოთა მიწა-წყლიდან. წითელმა არმიამ ომის განმავლობაში მდიდარი სამხედრო გამოცდილება შეიძინა. ასეულათასობით მებრძოლი ზედმიწევნით დაეუფლა თავის იარაღს. ბევრმა მეთაურმა ისწავლა ჯარების მარჯვედ მართვა ბრძოლის ველზე. მაგრამ ამით დამშვიდება გონივრული არ იქნებოდა. მებრძოლებმა უნდა ისწავლონ თავისი იარაღის კარგად ხმარება, მეთაურები ბრძოლის წარმოების ოსტატები უნდა გახდნენ. მაგრამ ესეც ცოტაა. სამხედრო საქმეში, მით უფრო ისეთ ომში, როგორიც თანამედროვე ომია, არ შეიძლება ერთ ადგილზე იდგე. სამხედრო საქმეში ერთ ადგილზე გაჩერება იმას ნიშნავს, რომ ჩამორჩე. ჩამორჩენილებს კი, როგორც ცნობილია სცემენ. ამიტომ ახლა მთავარი ის არის, რომ **მთელმა** წითელმა არმიამ დღითიდღე აუმჯობესოს თავისი საბრძოლო წრთვნა, რომ წითელი არმიის **ყველა** მეთაურმა და მებრძოლმა შეისწავლოს ომის გამოცდილება, ისწავლოს ბრძოლა ისე, როგორც ამას გამარჯვების საქმე მოითხოვს.

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, პარტიზანებო — კაცებო და ქალებო!

მოგესალმებით და მოგილოცავთ რა 1 მაისის დღეს,

**ვბრძანებ:**

1. ყველა მებრძოლებმა, ქვეითებმა, ნაღმსატყორცნელებმა, არტილერისტებმა, ტანკისტებმა, მფრინავებმა, მესანგრეებმა, მეკავშირეებმა, კავალერისტებმა დაუცხრომლად განაგრძონ თავიანთი საბრძოლო ოსტატობის სრულყოფა, ზუსტად შეასრულონ მეთაურთა ბრძანებანი, წესდებათა და დარიგებათა მოთხოვნები, წმიდად დაიცვან დისციპლინა, დაიცვან ორგანიზებულობა და წესრიგი.

2. ყველა გვარეობის ჯარების მეთაურები და საერთო-საჯარისო მეთაურები გახდნენ ჯარების წინამძღოლობის ოსტატები, ოსტატურად მოაწყონ ყველა გვარეობის ჯარების თანამოქმედება და უხელმძღვანელონ მათ ბრძოლაში. შეისწავლონ მოწინააღმდეგე, გააუმჯობესონ დაზვერვა, — არმიის თვალი და ყური, ახსოვდეთ, რომ უამისოდ არ შეიძლება აუცდენლად ვურტყათ მტერს. აამაღლონ ჯარის შტაბების მუშაობის კულტურა, მიაღწიონ იმას, რომ წითელი არმიის ნაწილთა და შენაერთთა შტაბები ჯარების მართვის სანიმუშო ორგანოები გახდნენ. აამაღლონ ჯარების ზურგის მუშაობა იმ მოთხოვნათა დონეზე, რომლებსაც თანამედროვე ომი აყენებს, მტკიცედ ახსოვდეთ, რომ ჯარების საომარი მასალებით, საჭურვლით, სურსათით სრულ და დროულ მომარაგებაზე დამოკიდებულია საბრძოლო ოპერაციების შედეგი.

3. მთელმა წითელმა არმიამ განამტკიცოს და განავითაროს ზამთრის ბრძოლების წარმატებანი, არ დაუთმოს მტერს არც ერთი მტკაველი ჩვენი მიწა-წყალი, მზად იყოს გადამწყვეტი ბრძოლებისათვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. თავდაცვაში გამოიჩინოს ჩვენი არმიის მებრძოლების დამახასიათებელი შეუპოვრობა და სიმტკიცე, შეტევაში — გამბედაობა, ჯარების სწორი თანამოქმედება, გაბედული მანევრი ბრძოლის ველზე, რაც მოწინააღმდეგის გარშემორტყმითა და მოსპობით თავდება.

4. პარტიზანებმა—კაცებმა და ქალებმა მძლავრად ურტყან მტრის ზურგს, მიმოსვლის გზებს, სამხედრო საწყობებს, შტაბებს და საწარმოებს, ანგრიონ მოწინააღმდეგის კავშირგაბმულობის ხაზები. მტრის მიერ დაპყრობილ რაიონებში საბჭოთა მოსახლეობის ფართო მასები ჩააბან აქტიურ განმათავისუფლებელ ბრძოლაში და ამით იხსნან საბჭოთა მოქალაქენი გერმანელთა მონებად გარეკისაგან და ჰიტლერელი მხეცების მიერ გაჟლეტისაგან. ულმობლად იძიონ შური გერმანელ დამპყრობლებზე ჩვენი ცოლებისა და ბავშვების, დედებისა და მამების, ძმებისა და დების სისხლისა და ცრემლებისათვის. მთელი ძალ-ღონით დაეხმარონ წითელ არმიას მის ბრძოლაში საზიზღარ ჰიტლერელ დამმონებელთა წინააღმდეგ.

ამხანაგებო!

მტერმა უკვე იგემა შემმუსვრელი ძალა ჩვენი ჯარების დარტყმებისა. ახლოვდება დრო, როცა წითელი არმია ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად ხერხემალს გადაუმტვრევს ფაშისტ მხეცს.

**გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან სამშობლოს!**

**გაუმარჯოს ჩვენს მამაც წითელ არმიას!**

**გაუმარჯოს ჩვენს მამაც სამხედრო-საზღვაო ფლოტს!**

**გაუმარჯოს ჩვენს გულად პარტიზანებს—კაცებსა და ქალებს!**

**სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!**

უმაღლესი მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი

**ი. სტალინი**



## ახალი შემოქმედებითი მიღწევებით ვუპასუხოთ უმაღლესი მთავარსარდლის საპირველმაისო ბრძანებას

### მიტინგი მწერალთა კლუბში

ისე, როგორც მთელს საბჭოთა ხალხში, უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ **სტალინის** ბრძანებამ უდიდესი აღფრთოვანება და საზეიმო განწყობილება გამოიწვია საქართველოს საბჭოთა მწერლებსა და მწერალთა კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა შორის.

დიდი ბელადის საპირველმაისო ბრძანებისადმი მიძღვნილი მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ მწერლები, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს და ლიტერატურული ორგანიზაციების თანამშრომლები, გახსნა ამხ. სანდრო ეულმა, რომელმაც აღნიშნა, თუ რა განსაკუთრებული საწარმოო და შემოქმედებითი აღმავლობით უპასუხებს უმაღლესი მთავარსარდლის საპირველმაისო ბრძანებას მთელი საბჭოთა ქვეყანა, მთელი საბჭოთა ხალხი.

მიტინგმა შეუნელებელი ინტერესით და ღრმა გულისყურით მოისმინა ყოველი წინადადება ამ ისტორიული ბრძანებისა, რომელიც წაიკითხა ირაკლი აბაშიძემ, ხოლო შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები: კონსტანტინე კაპანელი, როდიონ ქორქია, შალვა რადიანი და სხვები.

— ჩვენი დიდი ბელადის, უმაღლესი მთავარსარდლის საპირველმაისო ბრძანება, — განაცხადეს ამხანაგებმა, — წითელი არმიის ყოველ მებრძოლს და ჩვენი სამშობლოს ყოველ მოქალაქეს ავალებს — უფრო მეტად დაძაბოს მთელი თავისი შესაძლებლობა მომავალ გადამწყვეტ ბრძოლაში მოსისხლე მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად. საბჭოთა მწერლები, მწერალთა კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს თანამშრომლები, დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** საპირველმაისო ბრძანებით აღფრთოვანებულნი, უფრო ზუსტად, შეწყობილად და ენერგიულად იმუშავებენ ბელადის მიერ დასახულ ამოცანათა გადასაწყვეტად.

გაუმარჯოს სახელოვან გმირ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ძლევამოსილ შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს ჩვენს გამარჯვებათა ორგანიზატორს — უმაღლეს მთავარსარდალს, სსრ კავშირის მარშალს ამხანაგ **სტალინს**.

## საზეიმო კრება, მიძღვნილი პირველი მაისისადმი

30 აპრილს მწერალთა კავშირის კლუბში შესდგა მწერლების, მწერალთა კავშირისა და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს თანამშრომლების საერთო კრება, მიძღვნილი პირველი მაისისადმი.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. **ს. ეულმა**.

მოხსენებით თემაზე: „პირველი მაისის დღესასწაული სამამულო ომის პირობებში და საბჭოთა მწერლებისა და ხელოვნების მუშაკების ამოცანები“ გამოვიდა ამხ. **შ. რადიანი**.

სიტყვებით გამოვიდნენ **ს. ავჩიანი**, **ბ. ჩხეიძე**, **ბ. ჟღენტი** და სხვ.

## გაზეთი ძელმიწურში

### ალექსანდრე აბაშელი

შემოფრინდება მიწურში დილით
ბრძოლის ფურცელი, მტრედივით სუფთა.
გაქრება უცებ კუთხეში ჩრდილი,
სანთელი მიდის მებრძოლთა ჯგუფთან.

იწყება კითხვა, ელავს ქაღალდი,
თითქო ზღაპრული ფრინველი იწვის
შუქით ივსება თხრილი თაღამდი,
ბრიალებს კერა მშობელი მიწის.

ყოველ სიტყვაში ჰქუხს მრისხანება
და ნაპერწკლები ცვივა ფურცლიდან.
მხედართმთავარის ისმის ბრძანება,
რასაც მებრძოლის გული უცდიდა.

ვერაგ მტერს უნდა სანაცვლოს მიზღვა!
მტერი არ ინდობს ბავშვებს და ქალებს!
და ემატება ცეცხლი და რისხვა
შურისძიებით ანთებულ თვალებს.

სულმოუთქმელად თავდება კითხვა
და ზეცა კარებს უღებს განთიადს.
გაშლილ გაზეთზე ბელადის სიტყვა
დილის ვარსკვლავის მსგავსად ანთია.

ბრძოლაც იწყება. ჟლეტენ ჯალათებს,
ძელმიწური კი ზანზარებს, გრგვინავს.
ბრძოლის ფურცელი კედელს ანთებს
და ზედ სტალინის სურათი ბრწყინავს.

# ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო

26 აპრილს მოსკოვში გარდაიცვალა თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი რეჟისორი, მოსკოვის სამხატვრო თეატრის ერთერთი დამაარსებელი და სახელმწიფო მუსიკალური თეატრის შემქმნელი ვლადიმერ ივანეს-ძე ნემიროვიჩ-დანჩენკო.

განსვენებული მრავალმხრივი და მრავალფეროვანი შემოქმედი იყო. მან მსოფლიო სახელი მოიხვეჭა როგორც უდიდესმა თეატრალურმა მოღვაწემ, მანამდე იგი ცნობილი იყო, როგორც მეტად გავლენიანი და ფრიად კომპენტენტური თეატრალური კრიტიკოსი, როგორც პოპულარული პიესების, მოთხრობებისა და რომანების ავტორი, მაგრამ თუ მას სრულიად სამართლიანად უწოდებენ რუსული ნაციონალური კულტურის სიამაყეს, ეს იმიტომ, რომ ის არის შემქმნელი ახალი რუსული თეატრისა.

მისწრაფება თეატრალურ მოღვაწეობისადმი ნემიროვიჩ-დანჩენკომ გამოიჩინა ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი სწავლობდა თბილისის პირველ გიმნაზიაში, სადაც მისი აქტიური მონაწილეობით გიმნაზიის სცენაზე იდგმებოდა რუს და ევროპიელ კლასიკოს-დრამატურგთა პიესები. ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს შემოქმედებას ასაზრდოებდნენ, ერთის მხრივ, რუსული რეალისტური მწერლობის საუკეთესო ტრადიციები და მეორე მხრივ—მისი დროის, მისი ეპოქის მოწინავე იდეები. ღრმა იდეურობა, მაღალი შთამგონებელი ოსტატობა, მკაცრი მიდგომა ხელოვნების ნაწარმოებისადმი ახასიათებდა ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს მთელს რეჟისორულს და ლიტერატურულ-დრამატიულს მოღვაწეობას. ღრმა შინაარსი, ჰუმანიზმი, რეალისტური სისადავე, ცხოვრების სიმართლე,—აი რა დაუდვა მან საფუძვლად მოსკოვის სამხატვრო თეატრს, რომელიც განსვენებულმა კ. სტანისლავსკისთან ერთად შექმნა გასული საუკუნის მიწურულში და რომლის განვითარება მან მჭიდროდ დაუკავშირა მთელი რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების, რუსული ეროვნული მწერლობისა და კულტურის განვითარებას. სწორედ ამით აიხსნება, რომ მოსკოვის სამხატვრო თეატრი გადაიქცა რუსეთის საზოგადოების მოწინავე ფენების იდეებისა და განწყობილების გამომხატველად. იგი ეძებდა და თავის თეატრში სამუშაოდ იზიდავდა ყველა მოწინავე და ნიჭიერ შემოქმედს. პირველად მოსკოვის სამხატვრო თეატრის სცენაზე მიაღწიეს გამარჯვებას ჩეხოვისა და გორკის პიესებმა. მან ახალი თანადროული სულისკვეთებით ააჟღერა ოსტროვსკის დრამატიული ნაწარმოებები, განსაკუთრებით ოსტროვსკის პიესა „На всякого мудреца довольно простоты“.

სამხატვრო თეატრში, როგორც ამას მართებულად აღნიშნავს კრიტიკოსი მ. ვოლკოვი, მთელი თავისი სიგრძე-სიგანით გაიშალა ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს რეჟისორული ოსტატობა. სიყვარული ცხოვრებისა და ცხოვრების სიმართლისადმი, რომელიც საფუძვლად უდევს სცენიურ ხელოვნებასა და მის შეხედულებებს, გამოსავალი წერტილი გახდა მის რეჟისორულ მუშაობაშიც. როგორც რეჟისორი, იგი სცენაზე ანხორციელებდა არა იმდენად ამა თუ იმ კონკრეტულ პიესას, რამდენადაც იმ ძირითადსა და მთავარს, რაც ტექსტს ქვეშ იმალება, ესე იგი ცხოვრების იმ შეგრძნობას, რომელიც ამა თუ იმ მწერალს ახასიათებს. თავისი დადგმებით ნემიროვიჩ-დანჩენკო თითქოს უპასუხებდა კითხვას: რატომ, რა შინაგანი მოთხოვნილების ძალით დასწერა დრამატურგმა „ვაი ჭკუისაგან“ თუ „რევიზორი“, „ცოცხალი გვამი“ თუ „ფსკერზე“.

როგორც ჩვენი დროის უდიდესმა რეჟისორმა, ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკომ შექმნა რეჟისორობის ახალი თავისებური სკოლა. მან შეიმუშავა აქტიორის აღზრდის, სპექტაკლის დადგმის საკუთარი მეთოდი, რომელიც ყოველ დრამატიულ ნაწარმოებში ლიტერატურულ-ფილოსოფიური რაობის გახსნას გულისხმობს.

თუმცა ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ ამ დიდ ხელოვანს ხანდაზმულ ასაკში მოუსწრო, მან მაინც განაყოფიერა და აამაღლა მისი რეჟისორული შემოქმედება. სწორედ რევოლუციის შემდეგ შექმნა ნემიროვიჩ-დანჩენკომ თავისი რეჟისორული მუშაობის შედევრები. ლევ ტოლსტოის რომანების „აღდგომისა“ და „ანა კარენინას“ გასცენირებით მან გვიჩვენა სიღრმე ტოლსტოის ჰუმანიზმისა და ის მრისხანება, რომელიც ამ დიდმა მწერალმა დაატეხა თავს მეფური რუსეთის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წყობილებას. გორკის პიესის „მტრების“ დადგმით მან პირველად შეასხა ხორცი ამ დიდი პროლეტარული მწერლის ძლევამოსილ რევოლუციურ აზრს, ხოლო ჩეხოვის „სამი დის“ დადგმით მან გვიჩვენა და მთელი სიღრმით გვაგრძნობინა ჩეხოვის ნათელი ამაფრთოვანებელი რწმენა თავის სამშობლო ქვეყნის საუკეთესო მერმისში. სამამულო ომის დღეებშიც შეუსვენებლად მუშაობდა ეს გასაოცარი ნიჭისა და საკვირველი ტემპერამენტის ხელოვანი. მისი თაოსნობით და რეჟისორობით სამხატვრო თეატრის სცენაზე დაიდგა ნ. პოგოდინის პიესა „კრემლის კურანტები“, რომელიც ისეთ მხატვრულ დონეზე აღმოჩნდა, რომ იგი დაჯილდოვებულ იქნა სტალინური პრემიით.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს შემოქმედებაში მუსიკალურ თეატრს. ეს თეატრი, —სწერენ მისი მახლობელი თანამშრომელნი,—მას ღრმა სიყვარულით უყვარდა და აქ მუსიკის სტიქიაში იგი უხვად ამჟღავნებდა ყოველსავე იმას, რაც მას გამოუვლინებელი რჩებოდა დრამატიული თეატრის სცენაზე განხორციელებულ დადგმებში. აქაც იგი ნოვატორი იყო, მუსიკალური სახის



შედუღება მსახიობის დრამატიულ განცდებთან შეადგენდა ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს ოსტატობის ძალას.

განუზომელია ნემიროვიჩ-დანჩენკოს როლი როგორც მსახიობთა და რეჟისორთა მთელი თაობების აღმზრდელისა. კერძოდ ქართული თეატრიც დავალებულია განსვენებულისაგან. უშუალოდ თუ არაპირდაპირ მისი დიდი მხატვრული ზეგავლენა განიცადა ქართული სცენის ბევრმა დიდმა ოსტატმა და მოღვაწემ.

ინტენსიურ მხატვრულ შემოქმედებასთან ერთად განსვენებული საპატიო საზოგადოებრივ და სახელმწიფო მოღვაწეობას ეწეოდა და ამ მხრივაც იგი განსაცვიფრებელ ენერგიას იჩენდა. იგი იყო ორი თეატრის ხელმძღვანელი და სტალინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში.

ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო მუდამ დარჩება საბჭოთა ხალხის ხსოვნაში საბჭოთა სოციალისტური კულტურის ერთ-ერთ უდიდეს მშენებლად, რომელიც ნახევარი საუკუნის მანძილზე თავდადებით და სიყვარულით ემსახურებოდა თავის სამშობლოს კულტურული აღმავლობის საქმეს.

**მ. გორდელი**

## მწერალთა კავშირის პარტიულ ორგანიზაციაში

27 აპრილს შესდგა მწერალთა კავშირის პირველადი პარტორგანიზაციის კრება. განვლილი მუშაობის შესახებ (1941 წლის 22 ივლისიდან 1943 წლ. 27 აპრილამდე) მოხსენებით გამოვიდა პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. სანდრო ეული. მომხსენებელმა განვლილ მუშაობაში მიღწეულ წარმატებებთან ერთად აღნიშნა ბევრი ნაკლიც.

მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. შ. რადიანმა, ი. ლისაშვილმა, დ. ბენაშვილმა, ს. ლევიტინამ, ა. თევზაძემ, ი. ხოშტარიამ და სხვებმა.

კრებამ პარტორგანიზაციის განვლილი მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და დასახა სათანადო ღონისძიებანი შემდგომი მუშაობისათვის.

კრებამ ფარული კენჭისყრით აირჩია პარტბიურო, რომელშიაც შევიდნენ შემდეგი ამხანაგები: სანდრო ეული, შალვა რადიანი, ი. ლისაშვილი, დ. ბენაშვილი და ს. ჩიქოვანი.

პარტბიუროს მდივნად გამოყოფილ იქნა ამხ. სანდრო ეული, პარტბიუროს მდივნის მოადგილეებად შ. რადიანი და ი. ლისაშვილი.

## „დიდოსტატის მარჯვენა“

საქართველოს სახელგამი სცემს კონსტანტინე გამსახურდიას რომანს „დიდოსტატის მარჯვენა“.

იგივე რომანი გამოდის რუსულად გამომცემლობა „ზარია ვოსტოკაში“. თარგმანი ეკუთვნის ფატი თვალთვაძეს, ლიტერატურული რედაქცია ეკუთვნის ალექსეი ტიხონოვს.

## ხარიტონ ვარდოშვილი— „ლექსები“

„საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა ხარიტონ ვარდოშვილის „ლექსები“. კრებულში მოთავსებულია „გმირი სტალინგრადს“, „წითელარმიელი“, „გმირის სიკვდილი“, „მხედრის წერილი დედისადმი“, „დედის პასუხი“, „ლაშქრული“, „გასტელოს ხსოვნას“, „ნასახლარი“, „დაჭრილი“, „ტულონის გმირებს“, „მეგობრები“, „ქართლის ზეცა“. „ფაზისს“, „ზღვა“, „შოთა რუსთაველს“, „ილია ჭავჭავაძეს“, „აკაკი წერეთელი“, „ალ. პუშკინს“, „გემზე“, „ჭანდარი“, „საგაზაფხულო“, „ტფილისი“.

წიგნი შეიცავს 50 გვერდს, გამოცემულია ლამაზად და ღირს 6 მან. 80 კაპ.

# სალამური

**კლავდია დადიანი**

[illegible]

თითქოს ნატვრას მიმიხვდნენო, ახალგაზრდებმა სიმღერა წამოიწყეს. ჩამოვჯექ. ყური მიუგდე. მხოლოდ ერთი ახალგაზრდა მისჩერებია ჩემსავით ჩუმად ფანჯარას.

— რას ფიქრობ, დათა? ხომ იცი, მტრის სამასი თავი უნდა მიართვა შენს დედოფალს, თუ გინდა რომ წამოგყვეს!—გაეხუმრა ვიღაც.

გადავხედე. ვიცანი: სადგურზე დიდხანს ეთხოვებოდა ახალგაზრდა ქალს.

* * *

ხვალ შეტევაზე გადავდივართ. ჩვენი ნაწილი შეტევის წინ ისვენებს. აგერ ვიღაც ჩონგურს უკრავს და ზედ გოგია მეჩონგურის ლექსს ამღერებს. შორიდანაც ვიღაცის ხმა ისმის. ისიც მღერის.

მიწაზე ვწევარ. მწვანე მოლზე ხელს ვაფათურებ. ჩემს გვერდით „ტყის კაცია“ წამოწოლილი. ასე ვეძახით ერთ მებრძოლს. მუდამ მარტოა, უხმოდ დაბორიალებს და მაინც განსაკუთრებით გვიყვარს. ყველა იცნობს მის სალამურს, ყველას უყვარს მისი ბავშვური ღიმილი.

დღეს ტყის კაცი სულ არ იღებს ხმას. სალამურსაც აღარ უკრავს. ცეცხლს ჩასჩერებია. ეტყობა, არ ეძინება. ბანაკში ამაღამ არავის არ დაეძინება.

— გოგი, ხომ არ გეშინიან?—მესმის ტყის კაცის ხმა.

გაოცებული შევხედე, მთელი დღე ისე გავატარე, ერთხელაც არ გაუვლია გულში შიშს. მე პასუხი არ გავეცი. მდუმარედ მივჩერებივარ ტყის კაცს. ვგრძნობ, ამ ჩუმსა და უტყვ ვაჟკაცს დღეს ლაპარაკი უნდა.

— ტყის კაცს მეძახიან აქ. განა ჩემი ბრალია? სოფელს მოცილებული წისქვილმა შემაჩვია მარტოობას. სკოლიდან დაბრუნებულს წისქვილის ხმაური და ბაბუა მეგებებოდა მხოლოდ. დედა არ მახსოვს. მამა ცხრაასთოთხმეტი წლის ომში დამკარგვია. ბაბუა სიკვდილამდე ელოდა მის დაბრუნებას. ყოველი დაკაკუნება წისქვილის კარზე მოლოდინს უორკეცებდა მოხუცს. გაზაფხულზე ვტოვებდი წისქვილს. მთელ დღეებს ტყეში დავეხეტებოდი. თან დამქონდა ბაბუას გაკეთებული მახეები და ანკესები. მიყვარდა მახეებით ჩიტების ჭერა, ანკესით თევზაობა. მაგრამ არასოდეს არ მიჭამია ჩემივე ნანადირევი. მეცოდებოდა,—ნაღვლიანად სთქვა ტყის კაცმა.— ერთხელ, შუაღამისას, ბაბუამ გაიღვიძა — ვკვდები, ბიჭო, შემომჩივლა. წისქვილი არ დასტოვო, იცოდე, მამა-შენი უსათუოდ მოვაო.

ტყის კაცმა უბეზე ხელი მიიფათურა, სალამური ამოიღო.

— ეს სალამური ბაბუამ დამიტოვა. სალამურის ხმა კვნესასავით გაისმა მთებს შორის. ხმამ სხვებიც მოიზიდა ჩვენს გარშემო. უხმოდ ვსხედვართ და ყურს ვუგდებთ. ახლობლად და გულითადად სტვენს სალამური. მინდა მუდამ ვისმენდე ამ ჰანგს.

* * *

შეტევიდან ვბრუნდებით. მე და ტყის კაცს ძმობა არ შეგვიფიცავს ერთმანეთისათვის, მაგრამ მაინც განუყრელნი ვართ. იგი ჩვეულებრივად უხმოდ მომდევს უკან. ეს სოფელი რამდენიმე საათის წინ დაატოვებინეს მტერს.

აჩქარებული ნაბიჯით მივდივარ წინ. ჩვენი ექიმები და სანიტრები დადიან ჩაშავებულ მინდორზე, დაჭრილებს ეძებენ.

შორიდან ჭოტის ხმა ისმის. სიკვდილის აჩრდილები დაბორიალებენ ირგვლივ. გზის პირად ცხენი ეგდო. ადგომას ლამობდა, დაუძლურებული და ვერა დგებოდა. თავს წამოსწევდა, მაგრამ დამძიმებული ტანი არ აჰყვებოდა ხოლმე. სიცოცხლეს მოწყურებული

[illegible]

— ცურვა იცით?—მეკითხება კომისარი.

— ვიცი.

— შესძლებთ მდინარეზე შეუმჩნევლად გადასვლას?

— რაც შეიძლება მეტი ცეცხლი გააჩაღე, სანამ მდინარეს გადავცურავდე.

მდინარეში გადავეშვი. ცოტა ხანს შემდეგ ვიგრძენ, ვიღაც ცურვით მომდევს. ვიხედები. ტყის კაცის გრუზა-თმიანი თავი მიახლოვდება. მინდა დავუყვირო, მაგრამ ვჩერდები. გულს უხარია მარტო რომ არა ვარ.

ჩვენები ძლიერ ცეცხლს აჩაღებენ. შეუმჩნევლად გავსცურეთ მდინარე და ტანაყრილ სიმინდებს თავი შევაფარეთ.

მაშინვე ისეთი ძლიერი ცეცხლი გავაჩაღეთ, რომ მტერი შედრკა. ეგონათ, ჩვენებმა მდინარეს გადასცურეს და საბრძოლო კერები მეორე მხარეს გადაიტანესო. მათაც გააძლიერეს ცეცხლი, მაგრამ ჩვენ თხრილებში ვწევართ და ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს.

— აბა მარჯვედ, ტყის კაცო! ცოტაც, ცოტაც კიდევ, ხომ ხედავ მტერი მოტყუვდა, ჩვენებიც მოასწრებენ ადგილის გადანაცვლებას...

მაგრამ ტყის კაცი პასუხს არ მაძლევს ალბათ, არ ესმის ჩემი ხმა.

მიზანი მიღწეულია. მდინარე კვლავ უნდა გადავსცუროთ. ზევიდან ცეცხლი გვაწვიმს. რამდენიმე ადგილას მსუბუქად ვარ დაჭრილი, მაგრამ მაინც მივცურავ, მივცურავ და თან იმის ფიქრში ვარ, რომ ძალა არ გამომელიოს. ვფიქრობ და ვატყობ, რომ ძალა თანდათან მელევა... ტანში საოცარ სიმსუბუქეს ვგრძნობ, ვგრძნობ, მდინარე თავისუფლად მიმაქანებს სიკვდილისაკენ. მეშინიან ჩემივე ფიქრისა, მაგრამ ძალა აღარა მაქვს...

უეცრად ვიღამაც ხელი მძლავრად ჩამჰკიდა და ზევით ამიტაცა. თვალს ვახელ, ტყის კაცია. თვალები თბილი სითხით მევსება, ხედვას მიძნელებს.

აღარ მახსოვს როგორ გავცურეთ მდინარე. თვალი რომ გავახილე, თავზე თეთრხალათიანი ექიმი მადგა. ძლივს წარმოვსთქვი: „ტყის კაცი?“ ექიმი გაოცებული მიყურებს.

— სად არის ჩემი ამხანაგი?

— აქვე წევს.

— მაჩვენეთ.

— მძიმედ არის დაჭრილი.

ექიმი არა ჩქარობს, რაღაც სადოსტაქრო იარაღს ყურადღებით სინჯავს.

— ჩქარა მაჩვენეთ!—წამოვიყვირე და თითონვე არ ვიცი, როგორ გავჩნდი ტყის კაცის ლოგინთან.

დაბინტული სხეული უსიცოცხლოდ იყო გაშოტილი ჩემს წინ.

— თორმეტი ჭრილობა აქვს,—ჩურჩულებს ექიმი.—საოცარია, როგორაა ცოცხალი! თქვენი გადარჩენა მაინც შესძლო.

საყვედურივით შომესმა ექიმის სიტყვები. დავიხარე და ხმამაღლა ჩავსძახე. ტყის კაცმა თვალები გაახილა. მომაჩერდა. სჩანს, მიცნო. ღიმილის მსგავსი რაღაც ჩაუდგა თვალებში. მინდა დავწვდე, სახვევები ავაგლიჯო, კვლავ დავინახო მისი სახე, ბავშვური ღიმილი, მაგრამ ცრემლი მაღრჩობს, ძლივს ვლუღლუღობ:

— ტყის კაცი, ტყის კაცი!

ტყის კაცმა წამოიწია. ექიმი მაშინვე მიეშველა. ტყის კაცმა მკერდზე ხელი მოისვა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ შესძლო, კვლავ ბალიშზე მიესვენა.

ცრემლი ღაპალუპით ჩამომდის სახეზე. ხელში სალამური მიჭირავს, მისი სალამური, ხოლო შორიდან ბაბუას ხმა მესმის:

„არ დასტოვოო, ბიჭო, წისქვილი!“.

# აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი

**(დ. გულიას სამწერლო მოღვაწეობის 50 წლისთავის გამო)**

**დ. გივარგილიანი**

საბჭოთა აფხაზეთის საზოგადოებრიობამ დიდის აღფრთოვანებით აღნიშნა თავისი სახალხო პოეტის დიმიტრი გულიას ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისთავი.

დიმიტრი გულია სრულიად სამართლიანად და დამსახურებულად ითვლება აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლად. მისი სახელი აფხაზ ხალხში ძალზე პოპულარულია, მის ლექსებსა და მოთხრობებში გამოხატულია აფხაზი ხალხის მთელი ისტორიული ცხოვრება.

დიმიტრი გულია დაიბადა 1874 წელს გლეხის ოჯახში. ინტერესმა მხატვრულ ლიტერატურისადმი ადრევე გაიღვიძა მასში. პოეზიაში მისი პირველი მასწავლებლები იყვნენ დიდი ქართველი მწერლები ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. ამ მწერლების დიადმა განმანთავისუფლებელ-დემოკრატიულმა იდეებმა ძლიერი გავლენა მოახდინეს დ. გულიას საზოგადოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებაზე და პოეტური მიმართულების განმტკიცებაზე. ღარიბი გლეხის შვილმა, სოფლის მასწავლებელმა დიმიტრი გულიამ თვითმპყრობელობის ბატონობის სასტიკ წლებში თავისი ლექსებით პირველად გამოხატა თავისი მშობელი ხალხის ყოფა და სულისკვეთება.

დიმიტრი გულიას ლექსების პირველი კრებული 1912 წელს გამოიცა თბილისში. მისი პოეტური ნაწარმოებნი: „ხოჯან-დუ“, „რა ტურფა ქმნილებაა“ და სხვები, შავბნელი რეაქციის დროს დაწერილნი, მიმართული იყვნენ თავადაზნაურობისა და საეროთოდ ყველა ჯურის მჩაგვრელების წინააღმდეგ. რევოლუციის წინადროინდელ თავის ლექსებში დ. გულია დაუზოგველად ებრძვის და ამათრახებს მეფის მტაცებელ მოხელეებს, ფეოდალებს. იმავე დროს მისი სიყვარული და თანაგრძნობა მიმართულია მშრომელი ხალხისაკენ.

დიმიტრი გულიას შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოახდინა მდიდარმა აფხაზურმა ფოლკლორმა. მისი მრავალი ნაწარმოების სახეები და მოტივები აღებულია ხალხური ზეპირსიტყვაობიდან (მაგალითად, პოემა „ჭაბუკისა და ქალიშვილის მიწერ-მოწერა“ და სხვები).

ოქტომბრის დიდ სოციალისტურ რევოლუციას დიმიტრი გულია აღფრთოვანებით მიესალმა. იგი მტკიცედ მოუწოდებს აფხაზ ხალხს: „ვიაროთ წინ, არავინ ჩამორჩეს უკან“. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში განსაკუთრებული ნაყოფიერებით მუშაობს აფხაზი ხალხის ეს სახელოვანი შემოქმედი. აფხაზი ხალხის თავისუფალმა ცხოვრებამ მძლავრი გამოხატულება ჰპოვა რევოლუციის შემდეგ დაწერილ მის ლექსებში.

სიხარულით და აღფრთოვანებით უმღერის დიმიტრი გულია თავისუფალ და ბედნიერ სამშობლოს. დიდი სიყვარულის გამომხატველი ლექსები მიუძღვნა მან ხალხთა დიდ ბელადს **სტალინს.** პოეტი განსაკუთრებულის გრძნობიერებით მღერის:

„მაღალ მთებზე მზე ანათებს,<br>
ვხედავ ნისლებს განაშუქარს,<br>
ჩვენს სიყვარულს—გულის ნადებს<br>
შენ შოგართმევთ, ვით საჩუქარს.<br>
მიწა-წყალი საკავშირო<br>
არის ხალხთა ტკბილი კერა,<br>
გვსურს დიდ სტალინს რომ მიუძღვნათ<br>
მთელი ჩვენი გულისძგერა“.

სამამულო ომის მრისხანე დღეებში დიმიტრი გულიას მხატვრულ ნაწარმოებებს მეტი სიმახვილე და სიმკვეთრე მიეცა. მისი ლექსები გამოხატავენ საბჭოთა ხალხის საბრძოლო განწყობილებას. ლექსები „სამშობლოს“, „წინ, დასავლეთისაკენ“, „ჩვენი კავკასი“ და სხვები საბჭოთა ხალხს მოუწოდებენ თავდადებული ბრძოლისაკენ, რათა მოვსპოთ და გავანადგუროთ ვერაგი მტერი. ამიტომაა, რომ ასე მტკიცედ მიმართავს პოეტი საბჭოთა ხალხს:

„კვლავ ვაელვაროთ, ძმებო, მახვილი,<br>
არავის მივსცეთ მიწა მდიდარი,<br>
წამით არ იყოს დროშა დახრილი,<br>
დროშა მარადის დაუბინდარი,<br>
სტალინის სიტყვის გამოძახილი<br>
ფრონტზე დაჰქროდეს, როგორც გრიგალი“.

მოხუცი პოეტის მძლავრი პატრიოტული მოწოდება ფრიად ნაყოფიერ როლს ასრულებს ჩვენი ხალხის დიად განმანთავისუფლებელ ომში ფაშისტი ვერაგების წინააღმდეგ.

* * *

დიმიტრი გულია ცნობილია აგრეთვე როგორც პროზაიკოსი. პირველი მისი მნიშვნელოვანი მოთხრობა „უცხო ცის ქვეშ“ დაწერილია 1913 წელს. უკანასკნელ წლებში მან დასწერა საკმაოდ დიდი მოცულობის რომანი „კამაჩაჩი“. ეს არის თავისებური და კოლორიტული ეპოპეა. მხატვრულ პროზაშიაც იგი გვევლინება სოციალური იდეების მატარებელ მწერლად.



დიმიტრი გულიას მოთხრობებში ყურადღებას იპყრობს ხალხის ცხოვრების, მისი ყოფის საფუძვლიანი და დაკვირვებული ცოდნა.

* * *

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დიმიტრი გულიას მთარგმნელობითი მუშაობა. აფხაზ ხალხს მან გააცნო მრავალი შესანიშნავი პოეტური ნაწარმოები რუსი, უკრაინელი, ქართველი მწერლებისა. მან სთარგმნა აფხაზურ ენაზე „სიმღერა იგორის ლაშქრობაზე“, პუშკინის და ლერმონტოვის, ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის, შევჩენკოს და დ. ჭონქაძის მხატვრული ნაწარმოებები.

საგანგებოდ უნდა გამოიყოს დიმიტრი გულიას თავდადებული მუშაობა „ვეფხის-ტყაოსნის“ გადასათარგმნად აფხაზურ ენაზე. სამ წელიწადზე მეტს მუშაობდა იგი დაძაბულად ამ უკვდავი პოემის გადათარგმნისათვის. „ვეფხის-ტყაოსნის“ აფხაზური თარგმანი უკვე გამოვიდა მდიდარ აკადემიურ გამოცემად და მან საერთო მოწონება ჰპოვა მკითხველ საზოგადოებაში. აქვე უნდა დავასახელოთ დიმიტრი გულიას ლექსი, რომელიც მიეძღვნა შოთა რუსთაველს. ამ ლექსში პოეტი ამბობს:

„რუსთველის სიბრძნე უძიროა, ვით<br>
ზღვაში წყალი,<br>
ღრმა და ნათელი, მზის სხივივით<br>
გაბრწყინებული.<br>
მისი სიცოცხლე, მღელვარეა, ვით<br>
ქარიშხალი,<br>
და ხანაც მშვიდი, როგორც ტალღა<br>
მიწყნარებული.<br>
ჩვენს მწვერვალებზე ის ამაღლდა<br>
მყინვარის დარად,<br>
ერცახუ თოვლით დღეს ამოყობს, კოთასახელით,<br>
მთა მთას აბრუნებს, რუსთაველი კი<br>
ანათებს მარად.<br>
მარად იცოცხლებს შოთას ლექსი, მისი<br>
ნათელი.<br>
მზეც კი ზამთარში ძალას ჰკარგავს—შოთა<br>
ჰგავს მნათობს,<br>
რომლის სხივები არასოდეს ჩაესვენება.<br>
მზე სიცხით ხშირად სულს გვიხუთავს,<br>
შოთა კი გვათბობს,<br>
ჩვენს გულში მუდამ უკვდავია შოთას<br>
ხსენება“.

დიმიტრი გულიას მთარგმნელობითი მუშაობა მარტო ზემოთ დასახელებული ავტორებით არ ამოიწურება. მან სთარგმნა აფხაზურ ენაზე მსოფლიო პროლეტარიატის საბრძოლო ჰიმნი ეჟენ პოტიეს „ინტერნაციონალი“ და სხვ.

დიმიტრი გულია, როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე განსაკუთრებულის პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობს აფხაზ ხალხში. მის ლექსებს ყველგან მღერიან აფხაზეთში მშრომელები—კოლმეურნეები, მუშები. დ. გულიას მხატვრულ ნაწარმოებებს იცნობენ მისი მშობელი აფხაზეთის გარეშეც. მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, ქართულ და სხვა მოძმე საბჭოთა ხალხების ენებზე.

დიმიტრი გულია არჩეულია ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და პრეზიდიუმის წევრად. აფხაზეთის ასსრ ცაკის პრეზიდიუმმა მას მიანიჭა აფხაზეთის სახალხო პოეტის სახელი.

1941 წელს დ. გულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა.

მოხუცი პოეტი დღესაც აქტიურად და თავდადებულად მუშაობს ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ასპარეზზე. თავისი სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის თავს იგი ახალი შემოქმედებითი მიღწევებით შეხვდა.

# ივანე ბუქურაული

**1869-1943 წ.**

სოფ. ზემო-ალვანში (კახეთში) გარდაიცვალა დამსახურებული პედაგოგი და მწერალი-ეტნოგრაფი ივანე ბუქურაული. განსვენებულს საფუძვლიანი პედაგოგიური განათლება ჰქონდა მიღებული. 50 წელზე მეტს იგი განუწყვეტელ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის კერძო რეალურ სასწავლებელში, ვაჟთა პირველ გიმნაზიაში, კომერციულ სასწავლებელში, ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ—მე-43 სრულ საშუალო სკოლაში.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ივანე ბუქურაული თანამშრომლობდა „ივერია“-სა, „მოამბე“-სა და „ცნობის ფურცელ“-ში, სადაც მას დაბეჭდილი აქვს ამბები და მოთხრობები, რომელთა შორის აღსანიშნავია „მოხუცის ნაამბობი“, „ზურაბის კოშკი“, „ქუნჩუკის ნახტომი“, „მირგვლის ველი“, „გელა“, „ლუხუმი“, „როსტომი“, „ნანა“, „ნუცალ-ხანი“, „სისხლის ამღები“ და „ბორბალოს მთაზე“. თავის დროზე მკითხველი საზოგადოების ყურადღება მიიქცია „მოამბეში“ დაბეჭდილმა მისმა მგზავრის წერილებმა „ტბათანიდან წოვათამდე“ და ეტნოგრაფიულ-ისტორიულმა ნარკვევმა „ლაშარის ჯვარი და თამარ დედოფალი“.

ი. ბუქურაული ცნობილია აგრეთვე როგორც თუშური ფოლკლორის შემკრები. მის მიერ ჩაწერილი თუშური ლექსები იბეჭდებოდა „მოამბე“-სა, „ივერია“-სა და კრებულ „ძველ საქართველო“-ში.

განსვენებულს, მიუხედავად ხანდაზმულობისა, უკანასკნელ დღემდე არ გაუგდია კალამი ხელიდან. ამ ბოლო წლებში მან დასწერა და გამოაქვეყნა თავისი მოგონებები ილია ჭავჭავაძეზე, ვაჟა-ფშაველაზე, შიო მღვიმელზე და კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილზე. ბუქურაულის მიერ უკანასკნელად შეგროვილი და შედგენილი თუშური ლექსების კრებული გამოსაცემად მიღებული აქვს გამომცემლობა „საბჭოთა მწერალს“.

**ილია აგლაძე**


სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 1995